ცუცე თოფურიას ბრისე ყონცე

287 Опись 1 107

დასკანერებულია
16 01 25

287 1 ед. хр. № 107

ГО ХРАН

«ცისკარი» 1988, № 5

აკაკი თოფურია

ისტორიაში გრანელის ადგილის საკითხისათვის

ტერენტი გრანელი ოციანი წლების ქართული პოეზიის განუმეორებელი, ფენომენალური მოვლენაა. ბევრი რამ დაიწერა მასზე ადრეც, სიცოცხლის წლებში, მაგრამ განსაკუთრებული აღზევება მას შემდეგ დაიწყო, რაც მწერალმა ელიზბარ უბილავამ ხელახლა, გამოსცა მისი ლექსების კრებული. ამ შემთხვევაში მივიწყებული უნიჭიერესი პოეტის „გაცოცხლების“ საქმეში ე. უბილავას როლი ორმაგად გაიზარდა. მისმა წინასიტყვაობამ, 20-იან წლებთან შედარებით, როცა ვულგარიზატორული ტენდენციები ჯერ ისევ ბატონობდა, ახლებური შეფასება მისცა პოეტის შემოქმედებას.

ახლა გრანელის თემა თეატრის საგნადაც იქცა. მკითხველთა ინტერესი განუწყვეტლივ იზრდება. გაჩნდნენ გრანელის ე. წ. „მიმდევრები“, „მიმბაძველები“, „თაყვანისმცემლები“... ყოველივე ეს კარგია, მაგრამ, ვფიქრობთ, თითქოს ზომიერების საზღვარი დაირღვა. ერთი უკიდურესობიდან მეორე უკიდურესობის ნაპირზე ამოვჩნდით. ამასთან დაკავშირებით ჩვენ გვინდა ერთ-ერთ „ოპონენტთან“ წერილობითი პაექრობის ხერხით მოკლედ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრებანი არა მხოლოდ გრანელისადმი დამოკიდებულების, ისტორიაში მისი ადგილის, არამედ საერთოდ უმაღლეს სკოლაში ქართული ლიტერატურის სწავლების ზოგიერთ მეთოდოლოგიურ საკითხზე.

1.

მივიღე თქვენი მშფოთვარებით ალსავსე წერილი. გმადლობთ ფიქრების ხელგაშლილად განდობისათვის, ხელგაშლილად, ე. ი. პაუზების, დუმილის და ჩურჩულის გარეშე. ტელეფონით ყოველივე ეს აუტანელია. ამიტომ მკაცრად გტუქსავდით, იმდენად მკაცრად, ვნანობდი კიდეც.

. თქვენ მაინც არ გამწირეთ და არც თქვენი სანუკვარი თემა დაივიწყეთ, რომ რამდენადმე სრულად გამეგო თქვენი დამოკიდებულების და გატაცების სხვმრე საგნისადმი, რომელსაც თქვენ ფანატიკურად ეტრფით, მწვავედ განიცდით და სიცოცხლის ყველაზე ძვირფას დროს დაფარულად სწირავთ.

იშვიათია არა თქვენი სიყვარული გრანელის პოეზიისადმი, არამედ ამ სიყვარულის უსაზღვროება, მისი გახვევა სულისკვეთების ,თავგანწირვაში. ეს სულის სიფაქიზის, სინაზის, სიწმინდის უზენაესი გამოხატულებაა. მომწონს ასეთი გატაცება და თავგანწირვა, პოეზიისათვის, სახელდობრ ტერენტი გრანელის პოეზიისათვის.

მაგრამ თქვენი ასაკი, საზოგადოებაში თქვენი ადგილი და თქვენი მოვალეობა თქვენ გიყენებთ შეუვალ ულტიმატუმს, რომელსაც უნდა დაემორჩილოთ გონების და ლოგიკის ძალით.

ეს კი უბრალოდ იმას ნიშნავს, რომ დათრგუნოთ ემოციების სიჭარბე, დაძლიოთ გრძნობების ზედმეტი თარეში, გაარღვიოთ მირაჟებისა და აჩრდილების მაცდუნებელი სალტე, უკუაგდოთ ფანატიკური და პათოლოგიური გატაცებები და მოვლენას შეხედოთ უფრო საღად, უფრო სერიოზულად, უფრო დადინჯებით. უნდა შეგეძლოთ მისი ყოველი ლაბირინთის მიკროსკოპული განჭვრეტა არა ცალმხრივად, არა დიდი სიყვარულის გამო გრანელისადმი

მიკერძოებით, არამედ წინა, მისი დროის და მის მომდევნო პოეტურ მოვლენებთან კავშირში, გრანელის პოეზიის სწორად გაგება და ობიექტურად შეფასება.

იქ, სადაც გრანელისადმი მიბაძვის ტენდენციები წინ უსწრებს გრანელზე ფიქრსა და ოცნებას, თქვენ უნდა იწამოთ და შეურიგდეთ ელემენტარულ ჭეშმარიტებას — აზრები და წარმოდგენები საგნებზე (კონკრეტულად ამ შემთხვევაში გრანელზე) თქვენამდეც წარმოშობილან, არსებულან, სევდის პრობლემა მსოფლიო პრობლემადაც ქცეულა, მაგრამ გონიერთაგან არავის და არასდროს იგი არ გაუხდია საკუთარი ცხოვრების დევიზად.

ეს წერილი მოწოდებაა ზომიერებისა და ამქვეყნიური ცხოვრების რეალურად დანახვისაკენ, რომლის გარეშე წინააღმდეგობათა დაძლევა ძნელია.

წინააღმდეგობანი, სიძნელეები და გართულებები თქვენ ჯერ არ შეგხვედრიათ. ის, რაც გეჩვენებათ, მხოლოდ ლანდებია, ამიტომ უნდა განეწყოთ ასეთ მოსალოდნელ სიძნელეებთან საბრძოლველად არა გრანელის პოზიციებიდან, არა სევდასა და ტანჯვისადმი შერიგებიდან, არამედ შინაგანი დიდი სიმართლის, დიდი ცოდნის, დიდი კეთილშობილებისა და დიდი შეუპოვრობის ძალით.

მე მხედველობაში მაქვს მიზნისათვის შეუპოვარი ბრძოლის სულისკვეთება.

თქვენ წერთ: „მე ვცხოვრობ გრანელის სულთან და ეს არის ჩემი ბედნიერება... მე არ ვიღლები გრანელზე საუბრებით და გაუთავებლად ვოცნებობ მასზე... ჩემი ლექციები ჩემი გრანელია“.

მრავალმხრიობა, ეპოქათა, საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმაციათა ცვალებადობით არეკლილი იდეებისა და სახეების მუდმივ დინამიკაშია, რომლის მამოძრავებელი ღერძი ყოველთვის იყო და არის წინააღმდეგობის დიალექტიკა. უკაგდო მისი შინაგანი ბუნება და სოციალური განპირობებულობა, ეს ნიშნავს უკუაგდო მოვლენებისა და ფაქტების შეფასების სწორი პოზიცია, მათი სისტემატიზაციის და პერიოდიზაციის აუცილებლობა, ე. ი. საგნის გნოსეოლოგიიდან გარიყო საგნის მეთოდოლოგია, როგორც საყრდენი ბაზა და საფუძველი.

ეს ტენდენცია იმალება ბოლო დროს ქართული ლიტერატურის პერიოდიზაციის უარყოფის, მის წინააღმდეგ გალაშქრების ცდებში, რომლის მთავარი არსი ორი ცნების — მთლიანობის და ერთნაირობის აღრევაშია მოცემული. ქართული ლიტერატურის ისტორიის მთლიანობა უძველესიდან დღევანდლამდე სრულიადაც არ ნიშნავს ლიტერატურულ იდეათა, მიმართულებათა და სახეთა ერთნაირობას, რადგან ტყის დიდი მასივი არასოდეს არ ნიშნავს ხეთა ერთსახეობას. საკმარისია ბუნების ეს უბრალო და ელემენტარული კანონი დავუპირისპიროთ „ერთიანი ნაკადის“ თეორიის არა დღეს მოვლენილ მქადაგებლებს, არამედ მის გამცოცხლებლებს და „რესტავრატორებს“, რომ ვიგრძნოთ აზრის უსწორობა.

ასე გემართებათ თქვენც. რაშია მთავარი შეცდომა? უპირველესად, ელემენტარულის დავიწყებაში, უფრო სწორად, იმის უგულებელყოფასა და გათელვაში, რომ ყოველგვარი კვლევა-ძიება ცდის და აზრის ჭიდილია. რის ჭიდილზე შეიძლება ლაპარაკი, როცა მიკვლეულის კვლევა, დადგენილის დადგენა და ვარიაციათა ვარიაცია ჩვეულებად იქცა.

ამ მარტივ აქსიომებს იმიტომ შეგახსენებთ, რომ პარალელი გაავლოთ იმ მახინჯ მოვლენებთან, რომლებიც ჩვენი ცხოვრების ყოველ სფეროში გვხვდება. ჩერნობილის ტრაგედიის მიზეზთა მძიმე ქვები საბოლოოდ დაუდევრობის ჭაობში იპოვეს, სპეციალისტთა კვალი-

ფიკაციის დაბალი დონისა კი — უმაღლესი სკოლის მოქმედების ხავსმოდებულ მექანიზმში.

2.

„გუშინ, სრულიად მოულოდნელად, — მწერთ თქვენ, — როცა უკვე გადამეწურა იმედი თქვენგან პასუხის მიღებისა, ფოსტაში გადმომცეს თქვენი წერილი, რომელიც ძალიან, ძალიან მჭირდებოდა გრანელის გამოც, ყოველდღიურობის და განსაკუთრებით ხვალინდელი დღის გამო. თქვენ, ჩვეულებისამებრ, არ დაიშურეთ დრო და ენერგია, რათა გამომაფხიზლოთ, ამაცდინოთ „ციცაბო კლდეებიდან უნებური გადაჩეხვის საშიშროებას“, დაგმოთ „პირად ცხოვრებაში გრანელისადმი მიბაძვის ტენდენციები“, „ფანატიკური და პათოლოგიური გატაცებები“, „გრძნობების ზედმეტი თარეში“, „იდეალიზმისაკენ გადახრა“ და, რაც ყველაზე მთავარია, ხაზგასმით მიხსენებთ ჩემს ასაკს, საზოგადოებაში ჩემს ადგილს და მოვალეობას. დიდი მადლობა ამისათვის, მაგრამ“...

თავად მე მოგახსენებთ მადლობას „დიდაქტიკური“ რჩევებისა და დარიგებების გაზიარებისა და ერთგვარი გამოფხიზლებისათვის, რაკი უფსკრულის ქარაფიდან რეალობის მინდვრისაკენ გადმოხედვა ინებეთ და ერთი ნაბიჯით დაქანდით მისკენ, საშიშროება მართლაც განვლილად შეგვიძლია ვირწმუნოთ და ჩემი მთავარი მიზანიც მიღწეულად ჩავთვალოთ. თქვენს მრავალწერტილიან „მაგრამს“ რაღაც დაეჭვების გარსი აკრავს და მისი შემოხსნა მიგვაახლოებს მეორე მიზანთან, რომელსაც უფრო სხვა ამოცანა აქვს. რაშია მისი არსი?

უპირველესად, პოეტის შემოქმედების ზოგადი, საზოგადოებრივი და შემეცნებითი მნიშვნელობის არასწორ გაგებაში, არა ცალკეულ ნიუანსებს, სტროფებს, ფრაზებს და ინტონაციებს ენიჭება ასეთ შემთხვევაში გადამწყვეტი და განმსაზღვრელი როლი, არამედ შემოქმედების იმ მთავარ პათოსს, მთავარ ხაზს და მიმართულებას, რომელიც მკითხველის გონებასა და გრძნობებში იჭრება ზემოქმედების უძლიერეს ფაქტორად, გრანელის პოეზიაზე მაღლა დგომის ჩემეულ გამოთქმაში ამაოდ ეძებთ მისი შემოქმედების ობიექტური შეფასების შეუძლებლობას, ამაოდ გგონიათ „მაღლა დგომა“ თვით შემოქმედის ღვთიურ პარნასთან ახლო მისვლას ან შემოქმედის პიროვნებაზე ამაღლებას ნიშნავდეს. აქ მთავარია წვდომის მიზანი და მასშტაბი.

ამის კლასიკური მაგალითია ბელინსკის წერილები პუშკინის, ლერმონტოვის, გოგოლის შემოქმედებაზე. იგი არ ფარავდა აღტაცებას და სიყვარულს მათი გენიისადმი, მაგრამ მათი მაგნიტური მიზიდულობით ისე არ იყო დაბრმავებული, რომ მზეზე ოქროსფრად მოელვარე ანკარა მხატვრულ ჩქერებში შადრევნის მღვრიე წვეთები არ დაენახა. პუშკინის ადრეულ მელოდრამებს „ევგენი ონეგინამდე“ უცხოური სიუჟეტებისადმი შეგირდულ მიბაძვას უწოდებდა, ხოლო გოგოლს დაუნდობლად დაესხა თავს „მკვდარი სულების“ მეორე ნაწილში იდეური პლატფორმიდან გადახვევისათვის.

როგორც მოაზროვნე და ანალიტიკოსი ამ შემთხვევაში ბელინსკი მაღლა იდგა თავისი დროის დიდ მწერლებზე, მაგრამ განა იგი ამით რაიმეთი უტოლდებოდა ან შეედრებოდა მათ შემოქმედებით სტიქიას? ვინ ავლებს ტოლფასოვნების ასეთ ხაზებს რუსთაველსა და რუსთველოლოგებს შორის? ვინ აგებს გადაულახავ ჯებირებს და ზღუდეებს ლიტერატურულ ეპოქებს შორის ან ვინ უარყოფს მათ მემკვიდრეობითობას, მაგრამ განა ეს ლიტერატურული პროცესების ნიველირებას, მათი შინაგანი თავისებურებების მიჩქმალვას და უგულებელყოფას უნდა ნიშნავდეს?

გრანელისადმი თქვენი ფანატიკური სიყვარული უფლებას არ გაძლევთ

სუბიექტურად განსაჯოთ მისი როლი და ადგილი უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიაში. თქვენი სუბიექტურობა გრანელის პოეზიისადმი მორჩილებიდან გამომდინარეობს. ერთია რუსთაველისადმი, ბარათაშვილისადმი, ილიასადმი, აკაკისადმი, ვაჟასადმი, გალაკტიონისადმი მორჩილება, ხოლო მეორე — გრანელისადმი. თქვენ ყოველთვის გეშლებათ ლიტერატურული ანალოგებისა და პარალელების წესი, ვინაიდან ყოველთვის ზედაპირულად უცქერით საგანს, არ სწავლობთ საკითხის ყოველ ასპექტს და არ ითვალისწინებთ რა წინარე გამოცდილებას, მყარად არ დგახართ თქვენს პოზიციაზე. მაგრამ საკითხავია, გაგაჩნიათ კი პოზიცია? ახლა მეცნიერული პოზიორობა უფრო მეტია, ვიდრე ნათელი და მიუდგომელი პოზიცია.

არავინ უარყოფს ტერენტი გრანელის პოეზიის ელვარე ნათებას, მის პოეტურ ინდივიდუალობას და მაღალ ოსტატობას, არავის მოსვლია აზრად მისი ნიჭის ოდნავი დამცირება, მის შემოქმედებაში მიმოფანტული რაციონალური პოეტური მიგნებების, ზეშთაგონებითი პოეტური ხილვების, ინტუიციური ალმაფრენების დაფარვა და „ბალანსიდან ჩამოწერა". პირიქით, სიცოცხლეშივე აღიარებული და პოპულარული, ერთგვარ „აღზევებას" განიცდის ჩვენს თვალწინ, ჩვენ დროშიც, როგორც საოცარი ფენომენი (გირჩევთ განმეორებით წაიკითხოთ და განმეორებით სწორად გაიაზროთ სერგი ჭილაიას „იყო ერთი პოეტი", რომლის მიხედვით საგანგებო დადგმა განახორციელა თბილისის დრამატულმა თეატრმა და როგორც მითხრეს, ისე წარმატებულად, რომ ცრემლით და ქვითინით აივსო დარბაზიო). დაიწერა მასზე საკანდიდატო დისერტაციაც კი, რამდენადმე სანიშნო სათაურით: „ოციანი წლების ქართული საბჭოთა პოეზიის ძირითადი ტენდენციები და ტერენტი გრანელი". ამით მისმა ხელმძღვანელმა და სპეციალიზებულმა სამეცნიერო საბჭომ, რომელმაც მიიღო და დაამტკიცა ასეთი სახელწოდების დისერტაცია, მკაფიოდ ცხადჰყო ტერენტი გრანელის შემოქმედების თავისებური ხასიათი, მისი თავისებური იშვიათობაც და პარადოქსულობაც.

თავისებურებათა ეს სპეციფიკაა თქვენთვის მიუწვდომელი და აქედანაა თქვენი დაბნეულობა და ეკლექტიზმი.

ქართული ლიტერატურის ისტორია ქართველი ხალის სულიერი ცხოვრების ისტორიაა და იგი ერთი შეხედვით საცერს ჰგავს, რომელიც ფილტრავს და წმენდს ლიტერატურულ ფაქტებს და მოვლენებს ზედმეტობისა და განმეორებებისაგან. განმეორება ცოდნის დედაა, მაგრამ ისტორიისათვის — დედინაცვალი. იგი მუდამ წარმოშობს კონფლიქტებს და კატაკლიზმებს მსგავსებებს შორის. ლიტერატურისადმი ისტორიული მიდგომის მეთოდოლოგია გულისხმობს მასალათა დალაგებას პროგრამებში იდეურ-თემატური და მხატვრული აზროვნების სიახლის მიხედვით, რათა ეპოქალურ მოვლენათა შორის უწყვეტმა კავშირმა ნათლად გვიჩვენოს სახეთა და იდეათა ბრძოლის ნამდვილი ისტორია მის განვითარებასა და განპირობებულობაში... ამ გაგებით, ყოველი ეპოქის მწერალი თავისი ცხოვრებით და შემოქმედებით ისტორიის უწყვეტი ჯაჭვის შემადგენელი რგოლია, რომელიც რაღაც ახლით ავსებს, აფართოებს და აღრმავებს წინამორბედის მემკვიდრეობას. ამასთან ქრონოლოგიური სიზუსტე ისტორიის ობიექტურობის ბარომეტრია. თვალი გადავავლოთ ორ ტიპოლოგიურ მაგალითს.

ის, რაც ალექსანდრე ჭავჭავაძის შემოქმედებაში ჯერ კიდევ კონტურების, ალეგორიის, ჩანასახის ფორმითაა მოცემული — სამშობლოს სიყვარული, მისთვის თავდადება, მისი მძიმე მდგომარეობით გამოწვეული სევდა-მწუხარება მოვიგონოთ:

1. „მას ვჭვრეტ პატიმრად, ვის მონებს გული,
მისთვის გლახ განწირული“.
(„ვისაც გსურთ“)

2. „მე ერთმან ერთგზის ერთს ვუძღვენ თავი,
მასვე ვმონებდე მტკიცედ და მყარად“.
(„ვაჰ, დრონი, დრონი“)

გრიგოლ ობრელიანის პოეზიაში გამოსახულია ნათელი და ამამაღლებელი ფერებით:

1. „ცა მშვენიერი, ცა მშობლიური
მარად ბრწინვალე ზედ დაგვნათოდეს“
(„იარალის“)

2. „ჰე მამულო სასრველო, ვინ გახსენოს,
რომ მის გული
არ ათრთოლდეს სიხარულის აღტაცებითა
აღვსილი?
ვინ გიხილოს დროსა საშიშს, არ
დასთხიოს თვისი სისხლი,
არ დააკლას თავი თვისი შენ დიდებად
ვითა მსხვერპლი“.
(„სადღეგრძელო“)

ხოლო ის, რაც გრიგოლ ორბელიანის პოეზიაში მკრთალად, ზოგჯერ უიმედობისა და უპერსპექტივობის გამომხატველად მოჩანს — ეროვნული თავისუფლების იდეა, მომავლისადმი რწმენა, მოძრაობის და აქტიური მოქმედების იდეოლოგია — გავიხსენოთ:

„გადმოხვეწილმან ჩრდილოს წყვდიადსა
სადღა იხილოს ცა მშობლიური?
შენ ხარ პეტერბურღს, მე ნოვგოროდსა;
გარეთ მკლავს ყინვა და შინ უგარი“.
(„იარალის“)

ნიკოლოზ ბარათაშვილის ღრმად ფილოსოფიური შემოქმედება გაბრწყინებულია ისეთი აზრებით, როგორიცაა:

1. „მწუხრი გულისა — სევდა გულისა —
ნუგეშსა ამას შენგან მიიღებს,
რომ გათენდება დილა მზიანი და ყოველს
ბინდსა ის განანათლებს!“
(„შემოღამება მთაწმინდაზე“)

2. „არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი
მკვდარსა ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა
იზრუნოს“.
(„ფიქრნი მტკვრის პირას“)

თქვენ ხედავთ, თუ როგორ ვითარდება თვით ერთი ლიტერატურული მიმართულების წიაღშივე ესა თუ ის მოტივი, როგორ იშლება, ივსება, ფართოვდება და მაღლდება იგი, როგორ ეუფლება თანდათანობით მკითხველის გონებას და გრძნობებს. ამიტომ ითვლება ნიკოლოზ ბარათაშვილი ქართული რომანტიზმის მწვერვალად, პოეტური აზროვნების დიდ კორიფედ.

ან ავიღოთ მე-19 საუკუნის 50-იანი წლების რეალიზმი. მხატვრული აზროვნების თვალსაზრისით მას არც ისე გამოჩენილი ოსტატები ჰყავს, მაგრამ მისი სამივე წარმომადგენელი საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიის ობიექტური შესწავლის ინტერესებისათვის აუცილებელ შემადგენელ ელემენტს წარმოადგენს. გიორგი ერისთავის „გაყრაში“ თავადაზნაურული კლასის რღვევის პირველი რეალისტური ტიპური სურათებია ასახული, ლავრენტი არდაზიანის „სოლომონ ისაკიჩ მეჯღლანუაშვილში“ — სავაჭრო-სავახშო ბურჟუაზიის პირველი ფეხის ადგმის, ხოლო დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხეში“ — ბატონყმობის წინააღმდეგ პირველი გაბედული ბრძოლის. არც ერთში არ იგრძნობა პირდაპირი მსგავსება და განმეორება.

უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიაში გალაკტიონ ტაბიძის ასტრალური ხილვები ქრონოლოგიურად წინ უსწრებს ტერენტი გრანელის ასტროლოგიურ პოეტიზაციას და, ბუნებრივია, გამორიცხულად უნდა მივიჩნიოთ თვით ამ ისტორიის სავარძელში მისი მოთავსება გალაკტიონის გვერდით და გალაკტიონის დონეზე (მხედველობაში გვაქვს თემების მონოგრაფიული კლასიფიკაცია).

მაგრამ, ამავე დროს, ჭეშმარიტება მოითხოვს რეალურად არსებული ფაქტის აღიარებას. რაც დრო გადის, გა-

რკვეული ხელსაყრელი პირობების გამო, როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, კი არ ნელდება, კიდევ უფრო ძლიერდება სიყვარული და პატივისცემა გრანელისადმი, როგორც ისეთი პოეტისადმი, რომელსაც მუდამ ეყოლება მკითხველი, სანამ თუნდაც ერთი ადამიანი იარსებებს თავისი მწუხარე, სევდიანი ფიქრებითა და მისტიკური იდეალებით.

ადამიანის, ადამიანთა საზოგადოების არსებობა განუყრელად არის დაკავშირებული სიხარულისა და მწუხარების, სიკეთისა და ბოროტების, სიცოცხლისა და სიკვდილის განუწყვეტელ ჭიდილთან. ტერენტი გრანელის წინააღმდეგობრივი შემოქმედება ქართულ ლიტერატურაში ამ ჭიდილის გამოსახვის საუკუნეებრივი ტრადიციების თავისებური გაგრძელებაა კონკრეტულ-ისტორიული პერიოდის — 20-იანი წლების ქართულ ლიტერატურულ პროცესებთან მჭიდრო კავშირში. ამიტომ ამ პროცესების ზოგადმიმოხილვით თემებში მას თავისი კუთვნილი ადგილი უნდა ჰქონდეს მიჩნეული, რაც, სამწუხაროდ, პედაგოგიური ინსტიტუტების უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის მოქმედ პროგრამებში დღემდე არ იგრძნობა ეს გრანელის სახელის არც ფეტიშიზაციაა და არც რაიმე დაჩრდილვა. პირიქით — ეს ადრინდელი სტერეოტიპული შეხედულებების საწინააღმდეგოდ მისი ღირსეული დაფასების კონკრეტული საქმიანი გამოხატულება და დოკუმენტური დადასტურება იქნებოდა.

□

„ნაირა" №5, 1988. 87 103–108

აკაკი თოფურია

ისტორიაში გრანელის ადგილის საკითხისათვის

ტერენტი გრანელი ოციანი წლების ქართული პოეზიის განუმეორებელი, ფენომენალური მოვლენაა. ბევრი რამ დაიწერა მასზე ადრეც, სიცოცხლის წლებში, მაგრამ განსაკუთრებული აღზევება მას შემდეგ დაიწყო, რაც მწერალმა ელიზბარ უბილავამ ხელახლა, გამოსცა მისი ლექსების კრებული. ამ შემთხვევაში მივიწყებული უნიჭიერესი პოეტის „გაცოცხლების" საქმეში ე. უბილავას როლი ორმაგად გაიზარდა. მისმა წინასიტყვაობამ, 20-იან წლებთან შედარებით, როცა ვულგარიზატორული ტენდენციები ჯერ ისევ ბატონობდა, ახლებური შეფასება მისცა პოეტის შემოქმედებას.

ახლა გრანელის თემა თეატრის საგნადაც იქცა. მკითხველთა ინტერესი განუწვეტლივ იზრდება. გაჩნდნენ გრანელის ე. წ. „მიმდევრები", „მიმბაძველები", „თაყვანისმცემლები"... ყოველივე ეს კარგია, მაგრამ, ვფიქრობთ, თითქოს ზომიერების საზღვარი დაირღვა. ერთი უკიდურესობიდან მეორე უკიდურესობის ნაპირზე აღმოვჩნდით. ამასთან დაკავშირებით ჩვენ გვინდა ერთ-ერთ „ოპონენტთან" წერილობითი პაექრობის ხერხით მოკლედ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრებანი არა მხოლოდ გრანელისადმი დამოკიდებულების, ისტორიაში მისი ადგილის, არამედ საერთოდ უმაღლეს სკოლაში ქართული ლიტერატურის სწავლების ზოგიერთ მეთოდოლოგიურ საკითხზე.

1.

მივიღე თქვენი მშფოთვარებით აღსავსე წერილი. გმადლობთ ფიქრების ხელგაშლილად განდობისათვის, ხელგაშლილად, ე. ი. პაუზების, დუმილის და ჩურჩულის გარეშე. ტელეფონით ყოველივე ეს აუტანელია. ამიტომ მკაცრად გტუქსავდით, იმდენად მკაცრად, ვნანობდი კიდეც.

. თქვენ მაინც არ გამწირეთ და არც თქვენი სანუკვარი თემა დაივიწყეთ, რომ რამდენადმე სრულად გამეგო თქვენი დამოკიდებულების და გატაცების სიღრმე საგნისადმი, რომელსაც თქვენ ფანატიკურად ეტრფით, მწვავედ განიცდით და სიცოცხლის ყველაზე ძვირფას დროს დაფარულად სწირავთ.

იშვიათია არა თქვენი სიყვარული გრანელის პოეზიისადმი, არამედ ამ სიყვარულის უსაზღვროება, მისი გახვევა სულისკვეთების , თავგანწირვაში. ეს სულის სიფაქიზის, სინაზის, სიწმინდის უზენაესი გამოხატულებაა. მომწონს ასეთი გატაცება და თავგანწირვა , პოეზიისათვის, სახელდობრ ტერენტი გრანელის პოეზიისათვის.

მაგრამ თქვენი ასაკი, საზოგადოებაში თქვენი ადგილი და თქვენი მოვალეობა თქვენ გიყენებთ შეუვალ ულტიმატუმს, რომელსაც უნდა დაემორჩილოთ გონების და ლოგიკის ძალით.

ეს კი უბრალოდ იმას ნიშნავს, რომ დათრგუნოთ ემოციების სიჭარბე, დაძლიოთ გრძნობების ზედმეტი თარეში, გაარღვიოთ მირაჟებისა და აჩრდილების მაცდუნებელი სალტე, უკუაგდოთ ფანატიკური და პათოლოგიური გატაცებები, და მოვლენას შეხედოთ უფრო საღად, უფრო სერიოზულად, უფრო დადინჯებით. უნდა შეგეძლოთ მისი ყოველი ლაბირინთის მიკროსკოპული განჭვრეტა არა ცალმხრივად, არა დიდი სიყვარულის გამო გრანელისადმი

მიკერძოებით, არამედ წინა, მისი დროის და მის მომდევნო პოეტურ მოვლენებთან კავშირში, გრანელის პოეზიის სწორად გაგება და ობიექტურად შეფასება.

იქ, სადაც გრანელისადმი მიბაძვის ტენდენციები წინ უსწრებს გრანელზე ფიქრსა და ოცნებას, თქვენ უნდა იწამოთ და შეურიგდეთ ელემენტარულ ჭეშმარიტებას — აზრები და წარმოდგენები საგნებზე (კონკრეტულად ამ შემთხვევაში გრანელზე) თქვენამდეც წარმოშობილან, არსებულან, სევდის პრობლემა მსოფლიო პრობლემადაც ქცეულა, მაგრამ გონიერთაგან არავის და არასდროს იგი არ გაუხდია საკუთარი ცხოვრების დევიზად.

ეს წერილი მოწოდებაა ზომიერებისა და ამქვეყნიური ცხოვრების რეალურად დანახვისაკენ, რომლის გარეშე წინააღმდეგობათა დაძლევა ძნელია.

წინააღმდეგობანი, სიძნელეები და გართულებები თქვენ ჯერ არ შეგხვედრიათ. ის, რაც გეჩვენებათ, მხოლოდ ლანდებია, ამიტომ უნდა განეწყოთ ასეთ მოსალოდნელ სიძნელეებთან საბრძოლველად არა გრანელის პოზიციებიდან, არა სევდასა და ტანჯვისადმი შერიგებიდან, არამედ შინაგანი დიდი სიმართლის, დიდი ცოდნის, დიდი კეთილშობილებისა და დიდი შეუპოვრობის ძალით.

მე მხედველობაში მაქვს მიზნისათვის შეუპოვარი ბრძოლის სულისკვეთება.

თქვენ წერთ: „მე ვცხოვრობ გრანელის სულთან და ეს არის ჩემი ბედნიერება... მე არ ვიღლები გრანელზე საუბრებით და გაუთავებლად ვოცნებობ მასზე... ჩემი ლექციები ჩემი გრანელია“.

მრავალმხრიობა, ეპოქათა, საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმაციათა ცვალებადობით არეკლილი იდეებისა და სახეების მუდმივ დინამიკაშია, რომლის მამოძრავებელი ღერძი ყოველთვის იყო და არის წინააღმდეგობის დიალექტიკა. უკაგდო მისი შინაგანი ბუნება და სოციალური განპირობებულობა, ეს ნიშნავს უკუაგდო მოვლენებისა და ფაქტების შეფასების სწორი პოზიცია, მათი სისტემატიზაციის და პერიოდიზაციის აუცილებლობა, ე. ი. საგნის გნოსეოლოგიიდან გარიყო საგნის მეთოდოლოგია, როგორც საყრდენი ბაზა და საფუძველი.

ეს ტენდენცია იმალება ბოლო დროს ქართული ლიტერატურის პერიოდიზაციის უარყოფის, მის წინააღმდეგ გალაშქრების ცდებში, რომლის მთავარი არსი ორი ცნების — მთლიანობის და ერთნაირობის აღრევაშია მოცემული. ქართული ლიტერატურის ისტორიის მთლიანობა უძველესიდან დღევანდლამდე სრულიადაც არ ნიშნავს ლიტერატურულ იდეათა, მიმართულებათა და სახეთა ერთნაირობას, რადგან ტყის დიდი მასივი არასოდეს არ ნიშნავს ხეთა ერთსახეობას. საკმარისია ბუნების ეს უბრალო და ელემენტარული კანონი დავუპირისპიროთ „ერთიანი ნაკადის“ თეორიის არა დღეს მოვლენილ მქადაგებლებს, არამედ მის გამცოცხლებლებს და „რესტავრატორებს“, რომ ვიგრძნოთ აზრის უსწორობა.

ასე გემართებათ თქვენც. რაშია მთავარი შეცდომა? უპირველესად, ელემენტარულის დავიწყებაში, უფრო სწორად, იმის უგულებელყოფასა და გათელვაში, რომ ყოველგვარი კვლევა-ძიება ცდის და აზრის ჭიდილია. რის ჭიდილზე შეიძლება ლაპარაკი, როცა მიკვლეულის კვლევა, დადგენილის დადგენა და ვარიაციათა ვარიაცია ჩვეულებად იქცა.

ამ მარტივ აქსიომებს იმიტომ შეგახსენებთ, რომ პარალელი გაავლოთ იმ მახინჯ მოვლენებთან, რომლებიც ჩვენი ცხოვრების ყოველ სფეროში გვხვდება. ჩერნობილის ტრაგედიის მიზეზთა მძიმე ქვები საბოლოოდ დაუდევრობის ჭაობში იპოვეს, სპეციალისტთა კვალი-

ფიკაციის დაბალი დონისა კი — უმაღლესი სკოლის მოქმედების ხავსმოდებულ მექანიზმში.

2.

„გუშინ, სრულიად მოულოდნელად, — მწერთ თქვენ, — როცა უკვე გადამეწურა იმედი თქვენგან პასუხის მიღებისა, ფოსტაში გადმომცეს თქვენი წერილი, რომელიც ძალიან, ძალიან მჭირდებოდა გრანელის გამოც, ყოველდღიურობის და განსაკუთრებით ხვალინდელი დღის გამო. თქვენ, ჩვეულებისამებრ, არ დაიშურეთ დრო და ენერგია, რათა გამომაფხიზლოთ, ამაცდინოთ „ციცაბო კლდეებიდან უნებური გადაჩეხვის საშიშროებას“, დაგმოთ „პირად ცხოვრებაში გრანელისადმი მიბაძვის ტენდენციები“, „ფანატიკური და პათოლოგიური გატაცებები“, „გრძნობების ზედმეტი თარეში“, „იდეალიზმისაკენ გადახრა“ და, რაც ყველაზე მთავარია, ხაზგასმით მიხსენებთ ჩემს ასაკს, საზოგადოებაში ჩემს ადგილს და მოვალეობას. დიდი მადლობა ამისათვის, მაგრამ“...

თავად მე მოგახსენებთ მადლობას „დიდაქტიკური“ რჩევებისა და დარიგებების გაზიარებისა და ერთგვარი გამოფხიზლებისათვის, რაკი უფსკრულის ქარაფიდან რეალობის მინდვრისაკენ გადმოხედვა ინებეთ და ერთი ნაბიჯით დაქანდით მისკენ, საშიშროება მართლაც განვლილად შეგვიძლია ვიგრწმუნოთ და ჩემი მთავარი მიზანიც მიღწეულად ჩავთვალოთ. თქვენს მრავალწერტილიან „მაგრამს“ რაღაც დაეჭვების გარსი აკრავს და მისი შემოხსნა მიგვაახლოებს მეორე მიზანთან, რომელსაც უფრო სხვა ამოცანა აქვს. რაშია მისი არსი?

უპირველესად, პოეტის შემოქმედების ზოგადი, საზოგადოებრივი და შემეცნებითი მნიშვნელობის არასწორ გაგებაში, არა ცალკეულ ნიუანსებს, სტროფებს, ფრაზებს და ინტონაციებს ენიჭება ასეთ შემთხვევაში გადამწყვეტი და განმსაზღვრელი როლი, არამედ შემოქმედების იმ მთავარ პათოსს, მთავარ ხაზს და მიმართულებას, რომელიც მკითხველის გონებასა და გრძნობებში იჭრება ზემოქმედების უძლიერეს ფაქტორად, გრანელის პოეზიაზე მაღლა დგომის ჩემეულ გამოთქმაში ამაოდ ეძებთ მისი შემოქმედების ობიექტური შეფასების შეუძლებლობას, ამაოდ გგონიათ „მაღლა დგომა“ თვით შემოქმედის ღვთიურ პარნასთან ახლო მისვლას ან შემოქმედის პიროვნებაზე ამაღლებას ნიშნავდეს. აქ მთავარია წვდომის მიზანი და მასშტაბი.

ამის კლასიკური მაგალითია ბელინსკის წერილები პუშკინის, ლერმონტოვის, გოგოლის შემოქმედებაზე. იგი არ ფარავდა აღტაცებას და სიყვარულს მათი გენიისადმი, მაგრამ მათი მაგნიტური მიზიდულობით ისე არ იყო დაბრმავებული, რომ მზეზე ოქროსფრად მოელვარე ანკარა, მხატვრულ ჩქერებში შადრევნის მღვრიე წვეთები არ დაენახა. პუშკინის ადრეულ მელოდრამებს „ევგენი ონეგინამდე“ უცხოური სიუჟეტებისადმი შეგირდულ მიბაძვას უწოდებდა, ხოლო გოგოლს დაუნდობლად დაესხა თავს „მკვდარი სულების“ მეორე ნაწილში იდეური პლატფორმიდან გადახვევისათვის.

როგორც მოაზროვნე და ანალიტიკოსი, ამ შემთხვევაში ბელინსკი მაღლა იდგა თავისი დროის დიდ მწერლებზე, მაგრამ განა იგი ამით რაიმეთი უტოლდებოდა ან შეედრებოდა მათ შემოქმედებით სტიქიას? ვინ ავლებს ტოლფასოვნების ასეთ ხაზებს რუსთაველსა და რუსთველოლოგებს შორის? ვინ აგებს გადაულახავ ჯებირებს და ზღუდეებს ლიტერატურულ ეპოქებს შორის ან ვინ უარყოფს მათ მემკვიდრეობითობას, მაგრამ განა ეს ლიტერატურული პროცესების ნიველირებას, მათი შინაგანი თავისებურებების მიჩქმალვას და უგულებელყოფას უნდა ნიშნავდეს?

გრანელისადმი თქვენი ფანატიკური სიყვარული უფლებას არ ვაძლევთ

სუბიექტურად განსაჯოთ მისი როლი და ადგილი უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიაში. თქვენი სუბიექტურობა გრანელის პოეზიისადმი მორჩილებიდან გამომდინარეობს. ერთია რუსთაველისადმი, ბარათაშვილისადმი, ილიასადმი, აკაკისადმი, ვაჟასადმი, გალაკტიონისადმი მორჩილება, ხოლო მეორე — გრანელისადმი. თქვენ ყოველთვის გეშლებათ ლიტერატურული ანალოგებისა და პარალელების წესი, ვინაიდან ყოველთვის ზედაპირულად უცქერით საგანს, არ სწავლობთ საკითხის ყოველ ასპექტს და არ ითვალისწინებთ რა წინარე გამოცდილებას, მყარად არ დგახართ თქვენს პოზიციაზე. მაგრამ საკითხავია, გაგაჩნიათ კი პოზიცია? ახლა მეცნიერული პოზიორობა უფრო მეტია, ვიდრე ნათელი და მიუდგომელი პოზიცია.

არავინ უარყოფს ტერენტი გრანელის პოეზიის ელვარე ნათებას, მის პოეტურ ინდივიდუალობას და მაღალ ოსტატობას, არავის მოსვლია აზრად მისი ნიჭის ოდნავი დამცირება, მის შემოქმედებაში მიმოფანტული რაციონალური პოეტური მიგნებების, ზეშთაგონებითი პოეტური ხილვების, ინტუიციური აღმაფრენების დაფარვა და „ბალანსიდან ჩამოწერა". პირიქით, სიცოცხლეშივე აღიარებული და პოპულარული, ერთგვარ „აღზევებას" განიცდის ჩვენს თვალწინ, ჩვენ დროშიც, როგორც საოცარი ფენომენი (ცირჩევთ განმეორებით წაიკითხოთ და განმეორებით სწორად გაიაზროთ სერგი ჭილაიას „იყო ერთი პოეტი", რომლის მიხედვით საგანგებო დადგმა განახორციელა თბილისის დრამატულმა თეატრმა და როგორც მითხრეს, ისე წარმატებულად, რომ ცრემლით და ქვითინით აივსო დარბაზი). დაიწერა მასზე საკანდიდატო დისერტაციაც კი, რამდენადმე სანიშნო სათაურით: „ოციანი წლების ქართული საბჭოთა პოეზიის ძირითადი ტენდენციები და ტერენტი გრანელი". ამით მისმა ხელმძღვანელმა და სპეციალიზებულმა სამეცნიერო საბჭომ, რომელმაც მიიღო და დაამტკიცა ასეთი სახელწოდების დისერტაცია, მკაფიოდ ცხადჰყო ტერენტი გრანელის შემოქმედების თავისებური ხასიათი, მისი თავისებური იშვიათობაც და პარადოქსულობაც.

თავისებურებათა ეს სპეციფიკაა თქვენთვის მიუწვდომელი და აქედანაა თქვენი დაბნეულობა და ეკლექტიზმი.

ქართული ლიტერატურის ისტორია ქართველი ხალის სულიერი ცხოვრების ისტორიაა და იგი ერთი შეხედვით საცერს ჰგავს, რომელიც ფილტრავს და წმენდს ლიტერატურულ ფაქტებს და მოვლენებს ზედმეტობისა და განმეორებებისაგან. განმეორება ცოდნის დედაა, მაგრამ ისტორიისათვის — დედინაცვალი. იგი მუდამ წარმოშობს კონფლიქტებს და კატაკლიზმებს მსგავსებებს შორის. ლიტერატურისადმი ისტორიული მიდგომის მეთოდოლოგია გულისხმობს მასალათა დალაგებას პროგრამებში იდეურ-თემატური და მხატვრული აზროვნების სიახლის მიხედვით, რათა ეპოქალურ მოვლენათა შორის უწყვეტმა კავშირმა ნათლად გვიჩვენოს სახეთა და იდეათა ბრძოლის ნამდვილი ისტორია მის განვითარებასა და განპირობებულობაში... ამ გაგებით, ყოველი ეპოქის მწერალი თავისი ცხოვრებით და შემოქმედებით ისტორიის უწყვეტი ჯაჭვის შემადგენელი რგოლია, რომელიც რაღაც ახლით ავსებს, აფართოებს და აღრმავებს წინამორბედის მემკვიდრეობას. ამასთან ქრონოლოგიური სიზუსტე ისტორიის ობიექტურობის ბარომეტრია. თვალი გადავავლოთ ორ ტიპოლოგიურ მაგალითს.

ის, რაც ალექსანდრე ჭავჭავაძის შემოქმედებაში ჯერ კიდევ კონტურების, ალეგორიის, ჩანასახის ფორმითაა მოცემული — სამშობლოს სიყვარული, მისთვის თავდადება, მისი მძიმე მდგომარეობით გამოწვეული სევდა-მწუხარება მოვიგონოთ:

1. „მას ვჭვრეტ პატიმრად, ვის მონებს გული,
მისთვის გლახ განწირული“.
(„ვისაც გსურთ“)

2. „მე ერთმან ერთგზის ერთს ვუძღვენ თავი,
მასვე ვმონებდე მტკიცედ და მყარად“.
(„ვაჰ, დრონი, დრონი“)

გრიგოლ ობრელიანის პოეზიაში გამოსახულია ნათელი და ამამაღლებელი ფერებით:

1. „ცა მშვენიერი, ცა მშობლიური
მარად ბრწინვალე ზედ დაგვნათოდეს“
(„იარალის“)

2. „ჰე მამულო სასრველო, ვინ გახსენოს, რომ მის გული
არ ათრთოლდეს სიხარულის აღტაცებითა აღვსილი?
ვინ გიხილოს დროსა საშიშს, არ დასთხიოს თვისი სისხლი,
არ დააკლას თავი თვისი შენ დიდებად ვითა მსხვერპლი“.
(„საღღეგრძელო“)

ხოლო ის, რაც გრიგოლ ორბელიანის პოეზიაში მკრთალად, ზოგჯერ უიმედობისა და უპერსპექტივობის გამომხატველად მოჩანს — ეროვნული თავისუფლების იდეა, მომავლისადმი რწმენა, მოძრაობის და აქტიური მოქმედების იდეოლოგია — გავიხსენოთ:

„გადმოხვეწილმან ჩრდილოს წყვდიადსა
სადღა იხილოს ცა მშობლიური?
შენ ხარ პეტერბურღს, მე ნოვგოროდსა;
გარეთ მკლავს ყინვა და შინ უგარი“.
(„იარალის“)

ნიკოლოზ ბარათაშვილის ღრმად ფილოსოფიური შემოქმედება გაბრწყინებულია ისეთი აზრებით, როგორიცაა:

1. „მწუხრი გულისა — სევდა გულისა —
ნუგეშსა ამას შენგან მიიღებს,
რომ გათენდება დილა მზიანი და ყოველს
ბინდსა ის განანათლებს!“
(„შემოღამება მთაწმინდაზე“)

2. „არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი
მკვდარსა ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა
იზრუნოს“.
(„ფიქრნი მტკვრის პირას“)

თქვენ ხედავთ, თუ როგორ ვითარდება თვით ერთი ლიტერატურული მიმართულების წიაღშივე ესა თუ ის მოტივი, როგორ იშლება, ივსება, ფართოვდება და მაღლდება იგი, როგორ ეუფლება თანდათანობით მკითხველის გონებას და გრძნობებს. ამიტომ ითვლება ნიკოლოზ ბარათაშვილი ქართული რომანტიზმის მწვერვალად, პოეტური აზროვნების დიდ კორიფედ.

ან ავიღოთ მე-19 საუკუნის 50-იანი წლების რეალიზმი. მხატვრული აზროვნების თვალსაზრისით მას არც ისე გამოჩენილი ოსტატები ჰყავს, მაგრამ მისი სამივე წარმომადგენელი საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიის ობიექტური მეცნიერების ინტერესებისათვის აუცილებელ შემადგენელ ელემენტს წარმოადგენს. გიორგი ერისთავის „გაყრაში“ თავადაზნაურული კლასის რღვევის პირველი რეალისტური ტიპური სურათებია ასახული, ლავრენტი არდაზიანის „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილში“ — „სავაჭრო-სავახშო ბურჟუაზიის პირველი ფეხის ადგმის, ხოლო დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხეში“ — ბატონყმობის წინააღმდეგ პირველი გაბედული ბრძოლის. არც ერთში არ იგრძნობა პირდაპირი მსგავსება და განმეორება.

უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიაში გალაკტიონ ტაბიძის ასტრალური ხილვები ქრონოლოგიურად წინ უსწრებს ტერენტი გრანელის ასტროლოგიურ პოეტიზაციას და, ბუნებრივია, გამორიცხულად უნდა მივიჩნიოთ თვით ამ ისტორიის სავარძელში მისი მოთავსება გალაკტიონის გვერდით და გალაკტიონის დონეზე (მხედველობაში გვაქვს თემების მონოგრაფიული კლასიფიკაცია).

მაგრამ, ამავე დროს, ჭეშმარიტება მოითხოვს რეალურად არსებული ფაქტის აღიარებას. რაც დრო გადის, გა-

რკვეული ხელსაყრელი პირობების გამო, როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, კი არ ნელდება, კიდევ უფრო ძლიერდება სიყვარული და პატივისცემა გრანელისადმი, როგორც ისეთი პოეტისადმი, რომელსაც მუდამ ეყოლება მკითხველი, სანამ თუნდაც ერთი ადამიანი იარსებებს თავისი მწუხარე, სევდიანი ფიქრებითა და მისტიკური იდეალებით.

ადამიანის, ადამიანთა საზოგადოების არსებობა განუყრელად არის დაკავშირებული სიხარულისა და მწუხარების, სიკეთისა და ბოროტების, სიცოცხლისა და სიკვდილის განუწყვეტელ ჭიდილთან. ტერენტი გრანელის წინააღმდეგობრივი შემოქმედება ქართულ ლიტერატურაში ამ ჭიდილის გამოსახვის საუკუნეებრივი ტრადიციების თავისებური გაგრძელებაა კონკრეტულ-ისტორიული პერიოდის — 20-იანი წლების ქართულ ლიტერატურულ პროცესებთან მჭიდრო კავშირში. ამიტომ ამ პროცესების ზოგადმიმოხილვით თემებში მას თავისი კუთვნილი ადგილი უნდა ჰქონდეს მიჩნეული, რაც, სამწუხაროდ, პედაგოგიური ინსტიტუტების უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის მოქმედ პროგრამებში დღემდე არ იგრძნობა ეს გრანელის სახელის არც ფეტიშიზაციაა და არც რაიმე დაჩრდილვა. პირიქით — ეს ადრინდელი სტერეოტიპული შეხედულებების საწინააღმდეგოდ მისი ღირსეული დაფასების კონკრეტული საქმიანი გამოხატულება და დოკუმენტური დადასტურება იქნებოდა.

□